

სალოგოზო ვერსი

5

მარტი

სამშაბათი

1991

№ 26

(11659)

ეროვნული ბიზნისი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კპბ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა

გაეროს, მსოფლიოს ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს

უკვე რამდენიმე თვეა, რაც შიდა ქართლის, ყოფილი ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე, ანუ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრს, ქართველი ხალხის ისტორიულ სამშობლოს, სულიერი და მატერიალური კულტურის აკვანს წარმოადგენს, — მიმდინარე პროცესებს სსრკ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და საზღვარგარეთის მთელი რიგი სააგენტოები აშუქებენ, როგორც ეთნოკონფლიქტს, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკის ახალი მთავრობა ცდილობს ოს ხალხს ერთგული ავტონომია წაართვას. ეს სიცრუე და მონაგონი, რომელიც თან ახლავს ცენტრალური ტელევიზიის მიერ ფალსიფიცირებული ვიდეოინფორმაცია, მიხლოებითაც კი ვერ ასახავს რეალობას.

სინამდვილეში შიდა ქართლში მიმდინარეობს ცენტრის — საკავშირო მთავრობის გამოუცხადებელი ომი რესპუბლიკისათვის, რომელშიც უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს „განახლებული ფედერაციის“ შექმნაში და ხელი მოაწეროს სამოქალაქო ხელშეკრულებას. სწორედ ოს ბიუროკრატიაზე დაყრდნობით, რომელმაც მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია 1922 წელს.

წელს უკანონოდ შექმნილ ავტონომიურ ოლქში, ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“, ცდილობს დღეს ცენტრი ხელ-ფეხი შეუბოროტოს 1921 წელს ძალით წართმეული სრული სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმავალ ქართველ ხალხს.

ოსი მოიერიშეების მოქმედებაში ცენტრის აქტიური მონაწილეობა აშკარაა თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ რეგიონში განლაგებული სსრკ შინაგანი სამინისტროს ჯარები ხელს უწყობდნენ მათ თავი დასხმებს ქართულ მილიციასა და მშვიდობიან მოსახლეობაზე, ხოლო უახლესი ტიპის იარაღით, რაკეტებითაც კი, მოიერიშეები რეგიონში განლაგებული სამხედრო ნაწილიდან მარაგდებიან.

ოსი ექსტრემისტების, საქაროსო დანაყოფებისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, განსაკუთრებით კი სსრკ ცენტრალური ტელევიზიის კოორდინირებული მოქმედება იმას მოწმობს, რომ საქართველოს რესპუბლიკას დილემის წინაშე აყენებენ — ან ხელი მოაწეროს სამოქალაქო ხელშეკრულებას, ან დაკარგოს შიდა ქართლისა და აფხაზეთის ოლითგან თავისი ტერიტორიები.

როგორც მდგომარეობა გვიჩვენებს, აფხაზეთში კვლავ იკვეთება ახალი კონფლიქტი, რამდენადაც ამ რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შეუწყობილობა გამოიხატა. საქართველოს კრემლის მხრიდან ემუქრება მასობრივი სისხლიანი რეპრესიები, რომელთა პროპაგანდისტულ მომზადებას ემსახურება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ გაჩაღებული ზემოაღნიშნული ანტიქართული კამპანია.

ყველაზე ახლო იქმნება ის ფაქტი, რომ საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნას და ამრიგად, საქართველოს ნაწილის „ოსეთად“ მონათვლას (მაშინ, როდესაც ნამდვილი ოსეთი საქართველოს გარეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს) არც ისტორიული, არც სამართლებრივი, არც მორალური საფუძველები არ გააჩნდა და მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — შეექმნა საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური პლაკდარში რუსეთის კომპარტიისათვის, რომელიც მანამდე ოსებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ საბოლოო დეკლარაციას წარმოადგენდა შიდა ქართლში.

გასაკვირი არ არის, რომ დღესაც ოსი კომუნისტი ტერორისტების ანტიქართული პუტჩი შიდა ქართლში მიმდინარეობს სკკპ იდეოლოგიისა და ერთგულებისა და სამართლიანობის შეზღუდვების პოლიტიკური ლოზუნგით.

ქართველი ხალხი მზად არის დაიცვას როგორც თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ასევე ტერიტორიული მთლიანობა.

ცნობს რა შიდა ქართლის ოსი მოსახლეობის — ერთგული უმცირესობის უფლებას სრულ ერთგულ-კულტურულ ავტონომიაზე, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დაწესებული ნორმების ერთგული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა არ დაუშვებს, რომ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში მათ ჰქონდეთ ავტონომია ან სახელმწიფოებრიობის პრეტენზიის მქონე სხვა წარმონაქმნი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უკვე წამოაყენა შიდა ქართლში კონფლიქტის მოსაგვარებლად მთელი რიგი წინადადება. მათგან მთავარია სისხლისღვრის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და ყველა შეიარაღებული ფორმირების განიარაღება. ამან უნდა უზრუნველყოს მოლაპარაკების დაწყება შიდა ქართლში მცხოვრები ყველა პირის და, უწინარეს ყოვლისა, ოსი მოსახლეობის წარმომადგენელთა სრული უსაფ-

რთობის პირობებში, რომლებთანაც გაიმართება მოლაპარაკება შიდა ქართლის ოსი მოსახლეობის სტატუსის საბოლოო მოწესრიგებისათვის.

მიუხედავად ამისა საბჭოთა არმიის მხარდაჭერით მოიერიშეების მოქმედება კვლავ გრძელდება და თან სულ უფრო ინტენსიური ხდება, ასეთ პირობებში კრემლის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე დესტაბილიზაციის ახალი ექვრების შესაქმნელად მიღებული ზომები შეიძლება გახსნილ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ როგორც საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესია.

შექმნილ ვითარებაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მსოფლიოს ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს მიმართავს შემდეგი მოწოდებით:

1. დაუყოვნებლივ შეიქმნას კომპეტენტური საერთაშორისო კომისია გავრცობა და ევროპარლამენტის ექსპერტების მონაწილეობით აღვივებულ სინამდვილეს შესაფერად, რათა ფართო საზოგადოებრივად უტყუარი ინფორმაცია მიიღოს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე.
2. დახმარება გაეწიოს საქართველოს რესპუბლიკას ყველა იმ საშუალებით, რაც კი საერთაშორისო სამართლით არის გათვალისწინებული სუვერენული სახელმწიფოს ნებისმიერი ფორმის აგრესიისაგან დასაცავად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია**.
თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

„ფანჯა დაბიდავი, ჩემო საქართველო!“



დღეს ისევ ცრემლი სდის საქართველოს, კვლავ სისხლი იღვრება მის მიწაზე, უკირს საქართველოს... შეველა და ხსნა კი მხოლოდ სულიერსა და ფიზიკურ სიძლიერეშია. „ამოწვილს ხმალსა მტრისასა წინ მიავებე ფარიო“, — უთქვამს პოეტს. ფარად კი წინდა-

ხედულება, გონიერება. პირითმენა და ვაქცაობა თუ გამოგადგება, „მაგრამ მხოლოდ ზნობრივი სიწმინდე ვერაფერს გვიშველის

მამინ, როცა საქმე კბილებამდე შეიარაღებულ მტერთან გვაქვს. დადა დრო, რომ საკუთარი ეროვნული სამხედრო ძალები გვყავდეს. ქართველ კაცში ისტორიულიადაა ჩაღებული ის გენეტიკური კოდი, რომელიც ხელს უწყობს მას საუკუნეების მანძილზე, სასწაულებრივად გადაერჩინა მამული, ენა, სარწმუნოება. გავისხენოთ ვესუტის სიტყვები ქართველთა შესახებ... „მხენი, მუშანი, პირთამთენი, ლაშქობაში გულადნი“... საქართველოს ეროვნული გარდის შექმნით საშვილიშვილო საქმე გაეთდა. უკვე დაიწყო მის რიგებში გაწვევა ყოველი შეგნებული ქართველი ამ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეცილება. გასაწვევ ბუნქტში მიღიან ისინი, ვინც ასაკის მიხედვით ვალდებული არიან, მიდიან მოხალისეები, თმაში ჰადარაშერეული მამაკაცი, მიდიან ჯერ კიდევ სრულიად ბავშვებიც... ეროვნული გვარდია სამაგალითო უნდა იყოს ყოველმხრივ, ხოლო გვარდიელები კი — საუკეთესოდ მომზადებულნი.

თბილისის 123-ე სკოლის მე-11 კლასელი ბიჭებიც ერთი სურვილით არიან განწყობილნი, ემსახურონ სამშობლოს და თუ საჭირო იქნება, მკერდით დაიცვან იგი. „მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი სკოლის დამთავრების შემდეგ გვარდიაში ვემსახურო... ჩვენ ახლა ვპირდებით საქართველოს. ასე ფიქრობენ ჩემი ახსნაგებიც“.

გვითხრა შველვა მ-შველვაძე. ისინი ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭები არიან, არაფრით გამორჩეულნი თანატოლთაგან: მზიარულნი, ცოტათი ცელქები, თავისი ასაკისათვის შესაფერისი სიამაყითა და ამპარტანობითაც კი. ჩვენს სკოლებში მრავლად ნახავთ ასეთ ბიჭებს, მშობლები რომ პატარებელ თვლიან, აი ისეთები არიან. მათი შეხედულება, აზრები ცხოვრების შესახებ თითქმის ერთნაირია, თითქოს არამყარია. სწორედ ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ მათ ასეთ გადაწყვეტილებას ოჯახებში სხვადასხვა-ნაირად შეხვდნენ. გაა მამალიაქმ სიამაყის გრძობით გამოგვიცხადა: „ჩემი მშობლები ჩემს ამ ნაბიჯს სიხარულით შეგებნენ და მეც ბედნიერი ვარ“.

ამ ბიჭებს საუკეთესო მრჩეველი და მეგობარი ჰყავთ სკოლის დირექტორის კარლუ ბარდუელიძისა და ისტორიის მასწავლებლის ბესო საბაშვილის სანით. სწორედ მათ გაუღვივეს ბავშვებს ეროვნული სიამაყის გრძობა, მათ ასწავლეს სამშობლოს სიყვარული და გასაკვირი არცაა, რომ ბიჭებმა მიმართეს საქართველოს რესპუბლიკის არმიის დამხმარე საზოგადოებას.

(დასასრული გვ. 33.)
სურათში: მომავალი გვარდიელები, თბილისის 123-ე საშუალო სკოლის მეფრთმეტი კლასელები.
ოლეგ გველანიანი ფოტო.

კვირფასო თანამეამგზავნო!

სამ წელზე მეტია ლელა დავითის ასული ჭვლიძე იმედის თვალთ შესცქერის ექიმებს, რომლებიც უძღურნი აღმოჩნდნენ განკურნონ საშიში დაავადება, რომელიც ლეიკოზის სახელითაა ცნობილი მედიცინაში.

იყოჩაღეს ლელას მოსწავლეებმა, უახლოესმა გულშემატკივრებმა, კეთილშობილმა უცნობმა ადამიანებმა და მის სახელზე ჩოხატაურის აგრომრეწვებანკში გახსნილია საქველმოქმედო ანგარიში — 71101. ამ ანგარიშზე ჯერჯერობით ჩარიცხულია დაახლოებით იმ თანხის მეათედი, რაც საჭიროა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად და სამკურნალოდ. ამ ანგარიშზე შევიძლიათ გადარიცხოთ როგორც საბჭოთა მანეთი ასევე ვალუტა.

იქნებ გაგიჩნდეთ სურვილი — სპატიო წვლილი შეიტანოთ 32 წლის ახალგაზრდის სიცოცხლის გადარჩენაში. გწამდეთ, რომ კეთილი საქმე არ იკარგება. სანთელ-საკმეველი ყოველთვის იპოვის თავის გზას...

შეზავსენებთ ანგარიშის ნომერს — 71101 ჩოხატაურის აგრომრეწვებანკი

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

რეკლამის მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ რეკლამებისა და განცხადებების შესაკვეთად მიმართეთ სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკს“.

მისამართი: ბუდაბეშტის ქ. №1
ტელეფონი: 37-06-64 ან 37-58-25 (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა („გცვლი ბინას“, „გვესაჭიროება“, „გყიდი“, „გყიდულობ“, „გასწავლი“, „გაქირავებ“ და ა.შ.) მოგვმართეთ **15.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.**

შეგახსენებთ, რომ ორგანიზაციებისათვის გადასახადი ერთ კვადრატულ სანტიმეტრში 4 მანეთია, კერძო პირებისათვის იგივე ფართი — 2 მანეთი.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ვიდეინაროვს მიღება

მსუბუქი ავტომობილების მძღოლთა მომზადების მოკლევადიან კურსებზე.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 68-39-30 (14.00 სთ-დან 19.00 სთ-მდე).

მისამართი: გლდანის მე-3 მ/რ, კორპუსი 74

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

უ-შუს ინსტრუქტორთა საყურადღებოდ

1991 წ. 7 მარტიდან 10 მარტის ჩათვლით თბილისში, პროფკავშირების სასახლის სპორტდარბაზში, საქართველოს უ-შუს ეროვნული ფედერაცია აწყობს უ-შუს ინსტრუქტორთა კვალიფიკაციის ამაღლებულ სემინარებს (პირველი ეტაპი). სემინარებზე შესწავლილი იქნება საერთაშორისო ასპარეზობების საუღლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპლექსები, ამავე კომპლექსებში იქნება შეჯიბრება საქართველოს უ-შუს ჩემპიონატზეც. სრული კურსის დამთავრების შემდეგ მონაწილეებს მიეცემათ საქართველოს უ-შუს ეროვნული ფედერაციის ინსტრუქტორთა წოდებები და შესაბამისი დიპლომები.

ფედერაციის წევრებისათვის სემინარებზე დასწრება უფასოა. მსურველებს შეუძლიათ მობრძანდნენ 7 მარტს დღის 10 საათზე პროფკავშირების სასახლის სპორტდარბაზთან (მეტრო „აღელისის“ უკან).

სემინარის ხარისხორა კოოპერატივი „ოლა“.

ფედერაციის პრეზიდიუმში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აქხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დახაკავებლად.
რუსული ენის კათედრაზე
1. კათედრის გამგის 1,0 საშტ. ერთეული, მეცნ. დოქტორი, პროფესორი ან მეცნ. კანდიდატი, დოცენტი.
2. დოცენტი 1,0 საშტ. ერთეული.
ქიმიკ-ბუნებათმცოდნეობის კათედრაზე
1. კათედრის გამგის 1,0 საშტ.

ერთეული, მეცნ. დოქტორი, პროფესორი ან მეცნ. კანდიდატი, დოცენტი.
ფილოსოფიისა და პოლიტოლოგიის კათედრაზე
1. დოცენტის 1,0 საშტ. ერთეული.
2. ასისტენტის 0,5 საშტ. ერთეული.
3. ასისტენტის 0,25 საშტ. ერთეული.
ფიზიკის კათედრაზე
1. უფროსი მისწავლებლის 0,25 საშტ.

1. ასისტენტის 0,5 საშტ. ერთეული.
2. ასისტენტის 0,25 საშტ. ერთეული.
3. ასისტენტის 0,25 საშტ. ერთეული.
საბუთების შეტანის ვიდაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნებიდან.
ინსტიტუტის მისამართია: ბათუმი, ნინოშვილის 35.

მცირე საწარმო «მსთეტი»

სამუშაოდ იწვევს სხვადასხვა სპეციალობის (დურგლებს, ელექტრიკებს, შემღებლებებს, მწნეხავებს და სხვა) მუშა-მოსამსახურეებს, როგორც სამუშაოს სტაჟის ჩათვლით, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე.

შრომის ანაზღაურება მოხდება გამომუშავებით (450-დან 800 მანეთამდე).
ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 39-48-27 (10.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე).
მისამართი: ალ.ყაზბეგის პროსპ. №44 (ყოფილი პავლოვის პროსპექტი).

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

სალომარია ქვერული
«Ахалгара Иверელი»

ტელეფონები: ნისაღები — 93-97-81;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-81-68;
წერილებს ყანუფილება — 99-00-49.

გაზეთი ბაგრატიონის კვირეული საზაბათოს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კმ ც-ის სტამბა 380098, თბილისი-98, მ. კობახაძის ქ. № 14, იბეჭდება ოთხბეჭდური წებით სავაზელო კორპუსში, ხიზარაულის № 29
8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 ნაშ. ინდექსი 68400

რედაქტორი ვარაა ბალაჩივაილი

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380098
მ. კობახაძის ქ. № 14.